შემოსავლების სამსახური

# ბრძანება N 7292

22/03/2017

**„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ცალკეული ღონისძიებების შესახებ“**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 36-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-5 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

ა) მარიკა გულბანი - საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს წამყვანი ანალიტიკოსი;

ბ) რაფიელ ხაბურძანია - საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

გ) ნინო ჯავახიშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის პროექტების დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს წამყვანი ანალიტიკოსი.

2. შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყონ საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისთვის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდება დანართის №1-ის შესაბამისად.

3. კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

ა) სოფიო ვაჩაძე - ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ბ) ლაშა სხიერელი - ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) გიორგი ბუბუტეიშვილი - მომსახურების დეპარტამენტის უფროსი;

დ) ლევან დგებუაძე - მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ე) მადინა მაყაშვილი - მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ვ) შოთა ვალიშვილი - აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზ) ნუკრი შეყილაძე - აუდიტის დეპარტამენტის შემოწმების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;

თ) შალვა კოპალეიშვილი - დავების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე;

ი) დავით ჯულაყიძე - დავების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კ) ირაკლი ტაბაღუა - საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ლ) ნუგზარ წულუკიძე - საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიმდინარე კონტროლის სამმართველოს უფროსი;

მ) ლევან წითელაშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

ნ) დინარა ჩუბინიძე - იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ო) დავით მულაძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

პ) გიორგი კობეშავიძე - საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ჟ) მაკა ხვედელიძე - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

რ) დაჩი ქინქლაძე - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ს) გიორგი კანდელაკი - ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ტ) ჯაბა გაბუნია - ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

უ) ნინო ყველაშვილი - სამსახურის აპარატის უფროსის მოადგილე;

ფ) ია იაძე-ტაბატაძე - სამსახურის აპარატის უფროსის მოადგილე;

ქ) გივი მურვანიძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის მოადგილე;

ღ) ლევან ზერაძე - სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ყ)გიორგი რობაქიძე - სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

**4.** ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, ხელი მოაწერონ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ კორესპონდენციას.

**5.** შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყონ დანართი №1 ით გათვალისწინებული ინფორმაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისათვის მიწოდება ამავე დანართით დადგენილი პერიოდულობით.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ცალკეული ღონისძიებების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 5 მაისის N14996 ბრძანება.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი